




საბჭოთა



საბ. საბჭოთაო

საბ. საბჭოთაო
საბ. საბჭოთაო
საბ. საბჭოთაო
საბ. საბჭოთაო
საბ. საბჭოთაო
საბ. საბჭოთაო
საბ. საბჭოთაო
საბ. საბჭოთაო
საბ. საბჭოთაო
საბ. საბჭოთაო





ნახ. ქოქიაშვილის.

ამ იარაღებით იბრძოლა პროლეტარიატი ოქტომბრის ათვის თოთხმეტი წლის წინად

ჩვენი ბელადების სურათები

სიპიტო ყოყონაშვილი ცნობილი პიროვნება იყო წინად, როგორც თვითმპყრობელობის ერთგული მოხელე. მას ახირებული ჩვეულება ჰქონდა: აუცილებლად უნდა შეეძინა სახელმწიფო მოღვაწეების სურათები. მისი კაბინეტი შეფუძენილი და მინისტრებს სურათების გაღერების მოვალეობა.

1917 წლის რევოლუციამ და ნიკოლოზის ტახტიდან გადმოგდებამ თავზარი დასცა მას.

— დაიღუპა, ბატონებო, ქვეყანა, სწორედ რომ მეორე მოსვლა!— ეუბნებოდა ის თავისიანებს! სიპიტო ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდა კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს, თითქოს ეკითხებოდა მათ: როგორ მოვიქცე? სად დავმალეთ?

ერთ დღეს, როცა ის შავმა ფიჭვებმა გაიტაცეს, მისი კაბინეტის კარი გაიღო და გაჩნდა მისი ძველი შეგობარი, ცნობილი მენშევიკი ტიტოკო ცრუპანტელაძე, რომელიც გადაეხვია მას და კოცნა დაუწყა.

— მომილოცე, ჩემო სიპიტო, პარლამენტის წევრი გასლავარ. ხვალ თუ ზევ მიწისტრიც გავხდები და მაშინ ვიყვარდეს ქვიფი ძველებური, მამაპაპური...

სიპიტომ შტერივით ახედ-დახვდა ტიტოკოს და გულთანა გადინარჩარა:

— რაიო! შენ ხარ პარლამენტის წევრი? ვერა ძმო, ჭერ დაიფიქრებ!— სიპიტომ ზურგი შეაქცია მას.

— მაშ, თუ ასეა, ბიკი არ ვიქნები თუ ეხლავე „ვირის აბანოში“ არ გაგვზავნენ!— და ტიტოკომ ტელეფონის მიღს ხელი დასტაცა.

სიპიტოს ფერი ეცვალა.
— შენ მუღამ ასეთი იყავი, რა იყო, გეხუმრე კაცი!— დანაშაუვის ხმით მიმართა მას სიპიტომ.

ტიტოკო მოლაბა.
— შენ თუ მეხუმრე, მეც გეხუმრე, მოიტახელი, შევირგდეთ!— ტიტოკომ ხელი გაუწოდა მას და ჩაულაპარაკა:

— ეს სურათები დღესვე გადამაღე, თორემ ხომ იცი, შეიძლება უსამოვნობას დაუბრუნეს ადგილი.

— თუ ძმა ხარ, ტიტოკო, ჩემი მეგობრობა თუ გყავს, ამ სურათებს ნუ ახლებენ ხელს. გაძლიერ პატიოსან სიტყვას, თქვენს სურათებსაც შევიძენ და დარბაზში დავკიდებ. შენც ხომ წინად „ჩვენი კაცი“ იყავი. ნიკოლოზი ჩემზე ნაკლებ შენ არ გყვარებია!— დაღლილმა სიპიტომ მას და ჩოხის კალთაში ჩაჰკიდა ხელი.

— პო, ეს სულ სხვა ანბავია. თუ ჩვენი სურათებიც გეყვება, მაშინ ხელს ვენ გახლებს!— ტიტოკო და სიპიტო ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

ოქტომბრის რევოლუციით მენშევიკების მთავრობამ მწვავე ტკივილები განიცადა. მენშევიკების „დემოკრატიული“ წყობილების გეგმა დღითი-დღე იხრწებოდა და მისი სიმყარე უზამდა ყველაფერს, ხანამ ოქტომბრის ცეცხლი არ მოედო საქართველოს მიღამოებს.

— ბიძა ჩემო, გაუმარჯოს საქართველოს ოქტომბერს. გაუმარჯოს ახალ ცხოვრებას. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!— ამ სიტყვებით შემოიქრა გოგი სპარტაკელი, სიპიტოს ძმისწული ბიძის კაბინეტში.

— რას ღრიალებ შე ლაწირაკო! მე ის არ მყავდა, რომ ეს მოსაბეზრებელი დემონსტრაციები არ მახვენიდნენ!— გაუღაგრა და სიპიტო მისწულს.

— ბიძაჩემო, რა დროს მაგებება, ნუ თუ აღარავფიქრებ გესმის. არაფერს ხედავ, ვერაფერს ვანიცდი. დღეს საქართველოს დაქა-თქათებს ოქტომბრის მზე შენ კი ნიკოლოზისა და მენშევიკების სურათებით სტკებ-ბა.

— რაო! ოქტომბრის მზეო? ხა-ხა-ხა! ეს თქვენი ოქტომბრის მზე ოქტომბრამდე ჩაესვენება, გესმის, ოქტომბრამდის!— ამაკური გამომეტყველებით წარმოიტყვა სიპიტომ და გოგის მხარზე ხელი დაჰკრა.

— ბიძაჩემო, თუ ჩვენი ოქტომბრის მზე ოქტომბრამდის არ ჩაესვენა, შენ ვალდებუ-

ლი იქნება ყოველ წელიწადს ოქტომბრის დღესასწაულზე ჩვენი ბელადების თითო სურათი შეიძინო, ხომ თანახმა ხარ?

ის იყო სიპიტოს რალაც უნდა ეთქვა გოგისათვის საპასუხოდ, რომ ხარი დარტყეს. სიპიტო შეკრთა.

— აა, მალე, მალე, თორემ ხომ იცი, შეიძლება მოვიდნენ კიდეც. თანახმა ხარ თუ არა?— ისევ შეეკითხა გოგი სიპიტოს.

— თანახმა ვარ, თანახმა!— გაისმა სიპიტოს შეშინებული ხმა.

სიპიტოს ძმისწული— გოგი დღეს პასუხის მგებელი კომუნისტია და ერთ-ერთი წარმოების ხელმძღვანელი.

სიპიტომ დიდი ხანი დაკარგა ძველი წყობილების დაბრუნების იმედი. დღეს, დიად დღესასწაულის თითხმეტი წლის თავზე ის ზის აივანზე და გასცქერის ხალხით გაქედნილ ქუჩებს, რომლებიც დაფარულია დროშების ტყით.


დღეს მან დაპირება შეუსრულა გოგის და მეთითხმეტე სურათი კედელზე ჩამოკიდა. დემონსტრაციის შემდეგ მას გოგი ესტუმრა, რომელსაც სიპიტომ თვალთ ანიშნა ახალ სურათზე. გოგამ გაიღმა და გაზეთში გამოხვეული ამნ. სტალინის სურათი გადასცა მას.

— ბიძაჩემო, აი მეც მოგიტანე ჩვენი ბელადის სურათი, გთხოვთ საპატიო ადგილი მიუჩინო მას

— კი, მაგრამ ეს ხომ მეთითხმეტე სურათი იქნება და არა მეთითხმეტე?— მხარზე აწვეთ კითხვა მას სიპიტომ.

— არა უშავს, აქაც ტემპია საქირო; შენ ხომ იცი, ხუთწლიან გეგმას რომ სამ წელში ვასრულებთ. აქაც ასეა. მე მინდა ოქტომბრის ხუთწლიანი წლის სათბილო დღესასწაული წინასწარ აღვნიშნო ამ სურათით ოქტომბრის თითხმეტი წლის თავზე. დე, ეს სურათი სიმბოლო იყოს მომავალი მესუ-თმეტე ოქტომბრის, რომელიც იქნება მსოფლიო ოქტომბერი.

ქუშმაპარა.



ახლა ამ იარაღებით იზრდება საზოგადოებრივი კავშირის მუდმივი მოქმედებისათვის.

ნიკიფორე ინჩიტაძე

ცხრას ხუთი წლიდან პარტიის წევრად სთვლიდა თავს ნიკიფორე ინჩიტაძე.

მართალია, მას პარტიის საწევრო წიგნაკი არ ჰქონია, ყოველთვიური საწევრო გადასახადი არ შეჰქონდა და რომელიმე განსაზღვრულ უჯრედზე მიმაგრებული არ ყოფილა, მაგრამ ეს არც აუცილებელი საჭირო იყო მენშევიკურ ფრაქციისათვის.

ამ მხრით მხოლოდ ბოლშევიკები იცავდნენ დისციპლინას, მაგრამ სწორედ ამიტომაც არ მიემხრო მათ ფრაქციის ნიკიფორე, — მისი ფართე ბუნება ვერ თავსდებოდა ვიწრო ჯგუფურ კალაპოტში.

ნიკიფორეს დიდი ღვაწლი მიუძღოდა მენშევიკურ ფრაქციის წინაშე: იშვიათად მოიპოვებოდა ისეთი მოღვაწე, რომელსაც მის სახელში რამდენჯერმე არ გაეთიოს ღამე და სადილი - ვახშამი არ ეჭამოს.

ხშირად საგრძნობი თანხებითაც უმართავდა ხელს ნიკიფორე მენშევიკურ ფრაქციას.

ამრიგად ყველასგან ცნობილი პიროვნება გახდა და რაც მეტს იხვეჭავდა სახელს, მით უფრო ფართოდებოდა მისი სავაჭროც.

ჩვიდმეტი წლის რევოლუციის შემდეგ ნიკიფორეს საწვრილმანო ფირმა საბითუმო სავაჭროთ გადაიქ-

ცა და ის უკვე იმის ოცნებაში იყო, რომ ხოშტარისა და ჯაყელისათვის გაეწია მეტოქეობა და წინ გაესწრო.

შეიძლება ეს ასედაც მომხდარიყო, მაგრამ ოცდაერთი წლის თებერვლის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ ჩაუგდო კოვზი ნაცარში ნიკიფორე ინჩიტაძეს.

მისი საბითუმო საწყობი ბითუმად გადავიდა მომარაგების კომისარიატის განკარგულებაში და ნიკიფორე პირში ჩალა გამოვლენული დარჩა.

თუ ამდენხანს ნიკიფორე პასიური წევრი იყო მენშევიკური პარტიის ეხლა ის შეიქნა მისი აქტიური მუშაკი — და არამც თუ მენშევიკური პარტიის, არამედ ფედერალისტების, ნაციონალ - დემოკრატების და, წარმოიდგინეთ თქვენ — ოპოზიციონერ ტროცკისტებისაც, თუ კი სადმე მიაკვლევდა მათ.

ვინაიდან ეხლა მას გამასპინძლება, ღამის გათევისება და თანხებით ხელის მომართვა აღარ შეეძლო, — ყოველი ქონების ჩამორთმევის გამო, — ამიტომ ის ავტოტორო - პროპაგანდისტის როლს ასრულებდა, მაგრამ ამასაც თავისებურად, ნებაყოფლობით.

ჯერ იყო და, — გასაბჭოების პირველ ხანებში, — ყველა შემხდურს უმტკიცებდა, რომ ბოლშევიკებისა

და საბჭოთა ხელისუფლების დღეები დათვლილია და მათი არსებობა ძალით ჰკიდია.

შემდეგ, ეს რომ აღარ გამართლდა, ჩაუდგა კრიკაში საბჭოთა ხელისუფლების ყველა დიდ თუ პატარა საქმიანობას და კრიტიკის ქარცხეცხლში ატარებდა მათ, — რა თქმა უნდა, ჩუმად, ნაცნობებში და რიგებში.

ამითაც რომ ვერაფერი გახდა, შემდეგ შეუდგა სხვადასხვა სენსაციურ ხმების გავრცელებას.

როდესაც სოფლის კოლექტივიზაცია დაიწყო, ნიკიფორეს ეკუთვნოდა ას მეტრიან სახნის შეკერვის და მის ქვეშ ქალების და კაცების ერთად დაწოლის ხმების გავრცელება.

საყოველთაო სწავლის შემოღების გამო, როდესაც შეუდგენ სასკოლო ასაკის ბავშვების აღრიცხვას, — ნიკიფორემ გაავრცელა ხმები მშობლებისაგან ბავშვების ჩამორთმევის შესახებ, — და სხვა, და სხვა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არცერთმა ამ გამოგონებებმა არ მოიტანეს ნიკიფორესათვის სასურველი ნაყოფი, ის მაინც დღე - ღამ იმის ფიქრში იყო, თუ რა შეეთხზა საბჭოთა ხელისუფლების და მისი კომუნისტური პარტიის საფენბლათ.

ამ დროს მოაწია ოქტომბრის რე-

თვალთ ზურგს უკან და წინაც!

(მოგონებები)

მე მაგონდება პეტროგრადი,
ნოსლოთ და თალხით!
აგანყებულო მშრომელი და
ჩაგრული ხალხით...
ბალტიის ზღვიდან ქვეყნ-მოწვედილ
გემით — ავრორით,
ქარის ზუზუნით, სუსხის წყრობით.
ზვირთების ტბორით,
ქერა-აყრილი რომ ხვდებოდა
აქიდანც ნევა...
შურისძიების დენთისა და
ტყვიების ნთხევა...
ყოფილი ხალხის გაკვირვება,
მხრებისა ჩეჩით,
მათ წინ დარბაზი, ცარიელი
კერენსკის „რეჩით“!
შემდეგ სმოლნი და შლისელბურგი,
მშფოთვარი ძილით,
საშას გაქცევა საღვთმიდან
საწვიმარ მილით,
ჩამოვარდნა და ქვის პანელზე
დარტყმა ქუსლების,
და, ძველის ნაცვლად, დამკვიდრება
ახალ უფლებების,
საბჭოთა წყობის, ვერ თავში რომ
დაჯდა რევკომი,
სანამ გაგრძელდა ბურჟუებთან
სასტიკი ომი...
არავითარი შებრალებით,
შიშით ან რიდიო!
სულ ათიოდე დღე ან დამე...
(ვაშობ ვინ რიდიო!)
ათი დღე-დამე, რამაც შესძრა
ქვეყნიერება
და მიანიჭა დაჩაგრულ ხალხს
ბედნიერება:
მუშებს — ქარხნები, ფაბრიკები,
გზები, ტრანსპორტი...
გლეხებს — ყოველი მოსათესი
ველი თუ კორდი,
ხოლო საერთოდ, კი მშრომელ ხალხს —
თავისუფლება!
დღეს ვინ შეებღავს ამ წესწყობას
და ემუხთობება?
პირველ დღეებში, მართალია,
იყვნენ მკითხავნი,
თვის, ნახევარ თვის ყავდს რომ სდებდენ
ის ვირისთავნი!

მაგრამ თოთხმეტს და მეთუთხმეტე
წელში გადადის!
ვერ მიადწიეს მისმა მტრებმა
მაინც ვადამდის...
აგებს ხუთ წელში ასაგებელს
ოთხ წლის გასვლამდის..
მტრებო, მავნეო! ასე წავა
იციო, სადამდის?
კომუნისტური წყობილების,
ქვეყნად დადგამადის!
რომ ვერ მიადწიეს თქვენი ვერც კი
ძვალი მანამდის..
ესე ამბავი რომ გახარეთ,
ახლა — ნახვამდის!
არ მიიტანოთ ყური ჩემი
დაჭრილ ხახვამდის,
დამაყაროთ და მიმიყვანოთ
ასე ძრახვამდის..

პაწიკრა.



„ლილინი“
მენშევიკი ბიჭიკო ვარ,
ლალე, ლა - ლე - ე - ე.
კაპიტალიზმის ერთგული
თარი თურა - ლალე,
ჩემი ქურქის
მოყვარული,
ლაქუცა ვარ ძველი,
ხან ასე ვარ,
ხან ისე ვარ,
ბანკირების მცველი.
ცხვარსა და მგელს
ყველას ვიცავ,
ფერი შევიცვალე,
ბურჟუების
ფინია ვარ,
თარი-თურა ლალე!
კაპიტალის
მზეს ვვიცავდით
სამშობლოში
ჩვენა-
და ამიტომ
შავი ზღვისკენ
ხალხმა გადაგვდენა.
ათი წლის წინ საბჭოებად
იქცა ჩვენი მხარე.
პორტფელები
გაგვიხუნდა,
ბევრი ცრემლი ვღვარე.
მაინც იმედს
არ კვარავდი
თარი-თურა, ლალე,
და ვვიჭობდი:
„გავიმარჯვებ,
დავბრუნდები მალე“.
ვერ ველირსე
დაბრუნებას
კვირები ვთვალე,
და გვიანად
შემეცვალა
ნამკითხავი „მალე“.
კვირები თვეთ იცვალა,
თვეებს მოყვა წელი,
ერთი წელი ათად იქცა
მიტომ მომწყდა
წელი.
დღეს კი უკვე
მეთოთხმეტე
ოქტომბერი
მოდის.
ის მოდის და
მე კი ვამბობ:
როდის წავა, როდის!“
მე მათ წასვლას
ვერ ვესწრები
ვერც გვიან, ვერც მალე;—
წარსულს მხოლოდ
ჩემს ბედს ვხედავ,
თარი-თურა, ლალე!..

ვოლიუტის მეთოთხმეტე წლის თა-
ვი, რომლის დღესასწაულის საზეი-
მო გადახდი მზადებას ბოლშევიკთ-
რი ტემპებით შეუდგენ ყველგან.
ნიკიფორემ დასკიმა ტვისის ძარ-
ღები შესაფერი რაიმე გასავრცე-
ლებელი ხმების გამოსაგონებლად,
მაგრამ არაფერი აღარ მოსდიოდა
თავში.
თავზე დიდი ძალდატანების შემ-
დეგ მას უეცრად ერთმა აზრმა გაუ-
ელვა:
— ბოლშევიკური გადატრიალება
მოჩრა ოცდა ხუთ ოქტომბერს ათას
ცხრას ჩვიდმეტ წელს. დღესასწაუ-
ლობენ კი ამ ამბავს შვიდ ნოემბერს.
ბევრმა, მით უმეტეს ახალგაზრდებ-
მა, არც კი იციან, მგონი, რატომ
არის ეს შეუსაბამობა — ვილას ახ-
სოვს ეხლა ძველი წელთაღრიცხვა,
შეცვლილი ახლით, — აი საგანი,
რომლის შესახებ შეიძლება რაიმეს
შეთხზა!

ნიკიფორე გაერთო გამოგონების
ფიქრებში...
გათენდა შვიდი ნოემბერი. ქალა-
ქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი გა-
მოეფანა საზეიმოთ მორთულ ქურებ-
ში — ზოგი დემონსტრაციაში მონა-
წილეობის მისაღებად და ზოგიც სა-
ყურებლათ.
ნიკიფორეც გამოვიდა ქუჩაში
ლილინით: — ერი, ბიჭო, ერი, ერი?
ამერია ყველაფერი! ნოემბერი - ოქ-
ტომბერი, — გაგითენდეთ ყველას
ბევრი! ერი, ბიჭო, ერი, ერი!..
ნიკიფორე ინჩიტადის ასეთი ლი-
ლინისთვის ამ დღეს არავის მიუქცე-
ვია ყურადღება რადგან დღესასწაუ-
ლის აღტკინებით იყვნენ მოცული.
მხოლოდ საღამოს თავის ოჯახში
და მეორე დღეს ნაცნობ - მეგობრებ-
შიც ნათელი შეიქნა, რომ ნიკიფორე
კვდიდან შექანდა..

ს. თ - ია.

კვანძი

ქალი ჰემუს... პარაზენი (ახალი ცხოვრება) მიწის

ნახ. ქოქიაშვილის.



მოდის ზემით მშრომელი ხალხი,
 მოდის ოქტომბრის ახალი ყოფა,
 მას უყუფეს ძველი, საგრამ ამაოდ
 და ბრაზი ახრჩობს მომაკვდავ ქოფაკს



გაა, ბნელა? ოქტომბერი როგორ უნდა შემოვიყარდეს, როცა მისგნით გადვყავი ამდენ ჭირს და ამდენ დარდებს? ბეჭურაზმა ჩემს დუქანში ერკობი რომ ჩაასკუბა! ორი კუკლა სალბი მქონდა, ჩამომართვის ორივე ტყუპათ! მე და ჩემი ჰამფსონები ტყაპ! გვისსროლეს სანაგვეზე, და ჰამბალა მუშები კი ბატონებად დასეს ჩვენზე მერე ვისგნით მოხდა ესა, თუ ოქტომბერს არ დაბრალდეს? გაა, ბლენა? ოქტომბერი მე რათ უნდა გამიხარდეს.


მინფორმაცი (მეგობრული)



ჩვენ კარდაკარ წესად დავდეთ დახმარების ჩამოთხოვა; ყველას ვეცმეთ, მუშებისთვის კლასობრივად ვინც უცხოა, მოველოდით შენს დამარხვას, არად გვიჩნდა მითომ გლოვა, მაგრამ წელმა მეთოთხმეტემ გულს ნაღველი დაგვიგროვა, გავბითურდით.—ჩვენზე არის ის ანდაზა—თქმული რთა: „აავე—ვირო. ნუ მოჰკვდები გაზაფხულზე მწვანე შოვა“.

თავადი

ვეყო, სახლი და მამული შენ მომტაცე ჩორიგითა, კაცი ჩხირსა დამამგვანე, ჩატუქული ღორიგითა, გლეხია თუ კომსომოლი ყველა მირტყამს ჯორიგითა! ჩემიულ ხოდაბუნებზე ააყვავე კოლექტივი, მე სოფლიდან გამოაძევე და გამრიყე როგორც ტივი! ეს ყველა შენი ბრალია შე წყეულო ოქტომბერი მე შენს მიმართ ბრაზი მახრახბს ტკბილად როგორ მოგიძღვრა?



გუზა და გლეხი

ასწით დროშებს საზეიმოდ და სიმღერა გაამძლავრეთ, ყველა დემონსტრაციაზე დარაზმულად გავგზავრეთ! და იცოდნენ ყველა მტრებმა ჩვენი დიდი მიღწევები: ჩვენ ვიზრდებით წლიდან წლამდე, ვიზრდებით როგორც გვირ-დეგები და ვაშენებთ ახალ-ყოფას, მსოფლიოში არ ნახულსა, ზიზლი, კრულვა ძველს სამყაროს ოქტომბრის გან დამარხულსა დედამიწა ველარ იტევს ჩვენს უსაზღვრო სიხარულსა! ასწით დროშებს, წინ ნაბიჯით, საზეიმოდ ანამღერა: ხვალ დანარჩენ მსოფლიოსაც ესტუმრება ოქტომბერი!

უარსადან



შენი თარიღი დაიქცეს გამხადე ბედის ბუშია შენგან ნაკოავი პანლური დღესაც ვერ მომიშუშია! ბონაპარტობა მინდოდა, შენ ცირკის რიჟათ მაქციე! ამიკარ გულა-ნაბიდი და აქეთ გამომაქციე.

დიდი მთავარი კირილი



შენგან კკუა დაფანტული გავბრიყვდი და შევჯექ ვირსა, „მეფობანას“ სულ ვთამაშობ, მეფობა კი არ შეღირსა. მეთოთხმეტედ რომ გვიჰყებთ, მით გვიმატებ ქირზე—ქირსა!

=გულდება=

— და —

ახლო ხანში გაგოვა

„ნიანბი“-ს

სავითაუხრი ნომერი

= საბკოთა =

გამულების შესახებ

საოქტომბრო უხეველრა

—ხვალ ოქტომბრის 14 წლს თა-
ვია, მოდი ერთი ახალი შინაარსით
შეგვხედე ამ დღესასწაულს, — გადა-
სწავიტა დამკვრელმა ბენო ხრახნი-
ლაძემ.

6 ნოემბერს საღამოს კლუბისაკენ
გასწია და ღამის 12 საათამდე შიგ
იყო. შუალამისას მხიარულ გუბებაზე
დაბრუნდა ბენო და თავისი ახალი
ბინის კარებზე დააკაკუნა:

— კარი გამიღე, ჩემო, ძვირფასო
ამხანაფო თეოლინა!

— რა მოგაქვს? — იკითხა შიგნი-
დან თეოლინამ.

— რა მომაქვს და ჩემი ძმების პრო-
ლეტარების ნაამბავარი: მომაქვს გადა-
მწყვეტი გამარჯვება მთელ ჩვენს
სახალხო მეურნეობაში, ქვეყნის ინ-
დუსტრიალიზაცია, სახალხო მეურ-
ნეობის კოლექტივიზაცია, ამ საფუ-
ძველზე კულაკობის, როგორც კლა-
სის ლიკვიდაცია. კარი გამიღე!

— რა მოგაქვს?

— მომაქვს მძიმე ინდუსტრიის გა-
ვანტები: მაგნიტოსტროი, კუზნეც-
სტროი, დნებროსტროი, სვირ-
სტროი, შტეოსტროი ზაპესი, რიონ-
ჰესი, აჰჰესი, აბჰესი, ჭიათურის მარ-
განეცი, ტყიბულის ჭიანჭშირი. კარი
გამიღე!

— რა მოგაქვს?

— მომაქვს ვაგონებით დატვირთუ-
ლი ხორბალი, შაქარი, ჩაი, ბამბა,
ყანაფი, ლიუფა, კენდირი, რამი, თამ-
ბაქო, სელი და სხვა ძვირფასი კულ-
ტურული მცენარეები. კარი გამიღე!

— რა მოგაქვს?

— მომაქვს სტალინგრადის და ხარ-
კოვის სატრაქტორო გიგანტები, ნი-
ჟეგოროდის და მეორე „ამო“-ს საა-
ვტომობილო ბუმბერაზები, მოვდი-
ვარ შემჯდარი საბჭოთა „ფორდზე“,
მომაყავს ჩემი ძმა კოლმეურნე ტრა-
ქტორით. მოგვაქს კომბაინი, დაზ-
გები, მანქანები, სალენი, საფშენე-
ლი, შემკრავი და სხვა მანქანები,
ბლიუმინგები, იქსკავატორები, დი-
ზელები, ტურბინები და სხვა მრავა-
ლი. კარი გამიღე!

— რა მოგაქვს?

— რა მომაქვს და მომაქვს კოლმე-
ურნეობებთან გარე სამუშაოების
მოწყობაზე დადებული ხელშეკრუ-
ლებები, მუშათა და მთელ მშრომე-
ლთა ნივთიერ-ყოფაცხოვრებითი პი-
რობების გაუმჯობესება, გაუპიროყ-
ნების ლიკვიდაცია, სამეურნეო ანჯა-
რიში, ახალი სატარიფო რეფორმა,
დაკრედიტების ახალი წესი, წარმოე-
ბის რაციონალიზაცია. მომაქვს საუ-

კეთესო გამოგონებები, საქმიანი წი-
ნადადებები (ჯერ ბევრი გაუნაღდე-
ბელია); მომაქს სანარდო - პრემია-
ლური სისტემა, შრომის ორგანიზა-
ცია კოლმეურნეობებში და აგრეთვე
შრომის წიგნაკები იმ კოლექტივე-
ბისათვის, სადაც ასეთები კოლმეურნ-
ცენტრს არ დაურიგებია. კარი გა-
მიღე!

— რა მოგაქვს?

— მომაქვს კი არა და მომაყავს წა-
რმოებისაკენ პირით შემობრუნებუ-
ლი პროფმუშაკი, ასევე პოზაში მყო-
ფი სასოფლო საბჭო, მომხმარებლი-
სკენ თითქმის შემობრუნებული კოო-
პერაცია, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ
ისწავლა ხეირიანი ვაჭრობა. კარი ვა-
მიღე!

— რა მოგაქვს?

— მომაქვს რისხვა კულაკების-
თვის, ნეპმანებისთვის, კლასობრივი

ყოველგვარი ავენტებისთვის, მემარ-
ჯენე და „მემარცხენე“ ოპორტუ-
ნისტებისა და ყველა ჯურის შემა-
რიგებლობისთვის. კარი გამიღე!

— რა მოგაქვს?

— მომაქვს ამბავი, რომ ჩვენს გა-
რდა, მთელ მსოფლიოში არის საში-
ნელი ეკონომიური კრიზისი, უმუშე-
ვართა არმია 40 მილიონს აღწევს და
დღულს ბ.კოჟუა - კაპიტალისტების
ამოსაქნელი წყალი. კარი გამიღე!

— რა მოგაქვს?

— მომაქვს კოოპერაციის გაჯანსა-
ლება, ფასების დაკლება, ტრანსპორ-
ტის მუშაობის გაუმჯობესება, სო-
ციალისტური სექტორის გამარჯვება
და სოციალისტური ეკონომიკის სა-
ფუძვლის დამთავრება საბჭოთა ქვე-
ყანაში. კარი გამიღე!

კარები ფართოდ გაიღო.
აღლაკ-აღლაკსან

„წმინდა“ კრიტიკა

ნახ. ქოქიაშვილის.



ნიანგის გაფრენა უსსრ-ში

თორმეტი საათისათვის ჩვენ (ნიანგ და მე) უკვე პიპოდრომზე ვიყავით.
 ანუ შეუნდა პროპაგანდა და აფრინდა ჩვენი თვითმფრინავი.
 მარშრუტი ასეთია: ს. ს. რ.—პოლონეთი — გერმანია — ინგლისი — საფრანგეთი — იტალია — ამერიკა — იაპონია — ს. ს. რ.

პოლონეთი

ჩვენ საზღვრიდან პოლონეთში გადაფრინდა ბელურა. ამან ისეთი აურზაური გამოიწვია პოლონეთის მოსახლეობაში, რომ მთელი ჯარი ფეხზე დადგა... მომდარევეს ბინოკლები და ზარბაზნები.



— საბჭოთა კავშირი თავს დაგვხსნას; ესროლეთ! — გასცა განკარგულება პილსუდსკიმ.
 ატყდა ზარბაზნებიდან სროლა. მაგრამ ბელურა მაინც უფერულად გადაფრინდა და, თითქოს დასცინისო, მათ მასობრივ ხეზე შემომავდარბა, მხარულად დაიწყო თვითობა.
 — რა დიდი თვლები აქვს შიშს! — სთქვა ნიანგმა და გერმანიისაკენ განვაგოქეთ ფრენა.

გერმანია

— ბატონებო, — ამბობდა სოც. დემოკრატი პარტიულ კრებაზე, რომელსაც საპატიო თავმჯდომარეობად ზრიუნინგი, პინდენბურგი და ვილჰელმი ჰაყადა არჩეული, — ბატონებო, — ამბობდა ის, — ჩვენი პარტიის სიჭრტვილია, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ და ვერც ვერც მოხერხებულ მომარტვას.
 — ჩვენ საცდელი არ დადგვიკვლია, მაგრამ ხელს გვიშლიან კომუნისტები, რომლებიც ბარბაროები არიან და არ უნდათ მეფე.
 — გაუმარჯო! მივევს და ფაშაზმს... ძირს კომუნისტები! — დაიყვირა ერთმა და მთელი კრება მას აჰყვა.

ქუჩიდან კი მოისმა:
 — ძირს სოც. — ფაშისტები და მათი ფაშისტური ხელისუფლება... გაუმარჯოს საბჭოთა გერმანიას! — ამას იძახდა მუშათა დემონსტრაცია.

ინგლისი

ინგლისში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მაკდონალდმა. იგი უკან (რბილ ალაგას) პატარა ბალიშებს იკრავდა.



— მაკ, ბალაშებს რატომ იკრავ მანდ? — ეკითხებოდა პენდერსონი.
 — კონსერვატორებმა გაიმარჯვეს. ალბად მალე ამოიკრავენ პანდურს, და, რომ არ მტყინოს, ბალიშებს ვიკრავ!
 — „მეგრე ვაკეთა თავისი საქმე, და შეუძლია მიბრძანდეს!“ — ჰყვიროდენ კონსერვატორები და პანდურით ისტურებდენ მაკდონალდს.

— რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო — დასცინოდენ ქუჩაში მაკდონალდს.



— ამდენი ხანია დეზინტერია სკირს, სულ დაიცალა საწყალი სისხლისგან, წამოდგომის უნარიც კი აღარა აქვს! — ეუბნებოდა ბოლდუნი ჩემბერლენს ავათყოფ სტერლინგის შესახებ.



როგორ გვიცქერის რელიგია

საზღვრისაშტო
 მშენიერ ხასიათზე იყო პრეზიდენტი ლუმერი და მისი მთავრობა. მლოროდენ:
 სტერლინგ-დოლარი დამარცხდენ. გავცამტვერეთ აულოა; ოქრო და ვერცხლი ყოველგან ჩვენს აარტს შემოსულაო.
 რა კარგი მოგონებაა ეს ჩვენი ერთა ლიგიაო.
 ძლიერმა უძღურს გააძროს ზურგზე ტყავი და სიქაო.
 სიმღერა კარებზე კაკუნმა შეაყვებინა:



მოვიდვარ... ველარ გიშველის ვერცხლი და ოქრო თქვენიო. სახელად მქვია კრიზისი, დათვლილა თქვენი დღენიო.

იტალია

ვილაც ფაშისტი რომის პაპს ელაპარაკებოდა ვატიკანში:



— ეს რამდენიმე ხანია თქვენ ისტურად და საქვენილდ არ გავილა-

შტრებიით საბჭოების წინააღმდეგ, როგორც ამას შტრებოდით წანედ-რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, რომ ჩვენ ჩვენს ავტორიტეტის დაცემას ვუფრთხილდებით და მითმ ვდუმვართ.
 — როგორ! საბჭოების წინააღმდეგ გალაშქრება ავტორიტეტის დაცემა კი არა, მე გეგონია, პირიქით, ავტორიტეტის გაზრდას ნიშნავს მასებში.
 — უნ რომ გგონია, ებრა-ქონია — უთხრა პაპმა. — არა-ერთხელ გავილაშქრე საბჭოების წინააღმდეგ, მაგრამ ყოველთვის პირში ჩალა გამოვლდებოდი დავრი და ქვეყნის საციენილი ვავხდი!

„სამბული შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილითა“ ტყვია-თოფით ვერ დავგვოცა, მაგრამ მოგვკლა სიცილითა. დიწყო დიღინი ჩვენმა მფრინავმა და მიმართულუბა ამერიკისაკენ აიღო.

დაპყრობას. მისი ბოროტი ზრახვები ჩვენსკენ არის მომართული!

მიუხედავად ამისა, ვკლესია მაინც მტრულად უცქერის საბჭოთა კავშირს და მზად არის მის განსაღვრებლად, მაგრამ ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ვერაფერს ვაკლებთ.

როგორ გვიცხარის რალიგია

ამერიკიდან იქვე ახლოს გადაფრინდით იაპონიაში და დაავთვლიერეთ მანჯურია.

იაპონია — მანჯურია

იაპონელი გენერლები მანჯურიაში უმტყიცებდენ ერთა ლიგის წარმოადგენლებს:



— არავითარი ოროტი ზრახვები არა გვაქვს. პირიქით, ჩვენ გვირდა გავაბათილოთ დღემდე არსებული ფიზიკის ყალიბი ძირითადი კანონი, რომელიც ამტყიცებს, რომ „ერთსა და იმავე დროს არ შეუძლია ერთი და იგივე სივრცე დაიჭიროს ორმა საგანმა“. დიას, ფიზიკის ეს კანონი ჩვენ გადაბათილეთ და დავამტყიცეთ, რომ „ერთსა და იმავე დროს ორ საგანს შეუძლია დაიჭიროს ერთი და იგივე სივრცე“.

ამის დასამტყიცებლად მოვხდინეთ მაგალითი, ცდა: მანჯურიაში ვართ ჩვენაც და ჩინეთიც.

— ქეშმირიდან დიდი აღმოჩენა, რაკი ავრეა, თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ მანჯურიაში! — დაუდასტურეს ჩლორლუცა:

— მაგრამ არ გვეგონათ, რომ ეს აღმოჩენა თქვენ გეკუთვნოდეს. პირველად ეს ჩვენი აღმოვაჩინეთ!

საბჭოთა კავშირში დასაბრუნებლად ჩვენ ავფრინდით ზენიტში, საიდანაც გარკვეულად მთელი მსოფლიო მოსჩანდა.


საბჭოთა კავშირი ზეიმს იხდოდა თავისი არსებობის თოთხმეტი წლის ო... ასონიშნავად.

მსოფლიო პროლეტარიატი აღტაცებით ავდებოდა ამ დღესასწაულს, და ოქტობრის ძლიერამოსილ წინსვლელობას თავის ხმას უერთებდა!


მთელ მსოფლიოს მოედება ეს წითელი ფერი. მალე დასცემს ძველ ქვეყანას ჩვენი ოქტომბერი. ერთ გაუძლებლად ზენიტში ქვეყანა ზებერი. მალე ავფრინდით გაიმარჯვებს ჩვენი ოქტომბერი... ზმუი.




— გავილია ასეთი უსინდისობა, ვერაგობა და ყაჩაღობა? იაპონია პირიდან ლუკმას გვტაცებს, მანჯურია წავგვართვას!
 — ეს კიდევ რაა, — ბრაზობდა ამერიკელი ძია, — იაპონია გვიპირებს




ამერიკელი ძია: — შეხედეთ ამ ოხერს საითენ მოიწიეს!




1 ძიამ ჩარგო თალგამი „სტაბილურ სიმტკიცისა“ — ნაყოფს ზორბათ ელოდა (იცის, ძიამ იცისა!) ტრ. ბახობდა ამისთვის ჰქონდა ენამგვერობა: „ამ ჩემ ოქროს თალგამმა უნდა იხსნას ვერობა“!



2 და ერთ დილით, პოსტანში როცა ძია შევიდა: პუპუზ, სტაბილ თალგამზე ბასრ ფოთლების რხევითა — ამოსულა კრიზისი და მიიწვეს ზევითა... სცადა და ვერ მოგლიჯა ხენეშითა და რწევითა.



3. დაუძახა ძველ ქოფაკს (ბრიანია სახელად) — „მომეშველე მოვგლიჯოთ ერთად და ხელდახელად“... მაგრამ რამდენს ეცადენ მოვგლიჯათ ნარგავი, — იმდენი იზრდებოდა ეს კრიზისის თალგამი.



ბოლო ასეთი შეგვრჩა ამ „ძიების“ ქცევიდან: ის ნაგლეჯი თალგამი წამოაწვიათ ზევიდან და მათ უჭეჭეს ხერხემალს „სტაბილურის სიმძიმით“; — ასეთ ტვირთად გაღეჭვათ, ნაძარცვ ოქროს დიმიციმი...

ნადრავი ს ხარული

— მამის სულს გეფიცები, ტყვი-ლა - უბრალოდ გვეშინოდა ჩვენ ამ რევოლიუციის. რა დამაკადა მითხარი ერთი: ადვილ-მამული ხელუხლებლად დამოჩა, ღირსება არ ჩამოურო-თმევიათ და პატივისცემა! — ეუბნებოდა თავის საყვარელ მეუღლეს თებერვლის რევოლიუციის შემდეგ სა-ქართველოში განთქმული მემამულე ჭაიხოსრო კიტრაძე.

— ნიკოლოზი რომ აღარ არის, ჭა-ინც რაღაცა გულს მაკლია.

აგიზვიზდა სამოქალაქო ომის ცე-ცხლი, რომელმაც აბრამის ზვარაკი-ვით შეიწირა მსხვერპლად კერენს-კის მთავრობა, ვრანგელი, დენიკინი, და ძმანი მათნი.

ამოვარდა ოქტომბრის ქარიშხალი, რომელმაც სულ ყირაზე გადაატრია-ლა მთელი რუსეთი.

— ეხლა რაღას იტყვი? — ეკითხუ-ბოდა უიმედო კილოთი მეუღლე ჭაი-ხოსროს.

— ეხლა რა ვიცი, რა გითხრა. მა-გრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ ეს ბოლშევიკობა ჩვენში ვერ მოიკიდებს ფეხს. აქ ძალიან გამაგრებული არიან ჩვენი მენშევიკები.

— არა უშავს, ისევ ჩვენები მოე-ქცენ სათავეში ქვეყანას. იმედი მაქვს ჩვენ ისინი არ გაგვიმეტებენ! — ამბო-ბდა ჭაიხოსროს ცოლი.

— რატომ უნდა გაგვიმეტონ, ბე-ჩა, ჩვენ მათი სისხლი და ხორცი არა ვართ? — უდასტურებდა ჭაიხოსრო. გამართლდა მათი იმედი. მენშევი-

კურ მთავრის მათთვის ერთი თმაც არ დაუკლია: მიწა-წყალი არ ჩამოურთმევია, კაი სამსახურიც მი-სცეს ჭაიხოსრო კიტრძეს, მისი მეუ-ღლე სიხარულით მიწაზე აღარ ადგა-მდა ფეხს, სულ ავტომობილით და-ლიოდა.

— ეს ანტომობილი, ნამეტანი კაი ყოფილა სწორედ — მოსწონდა ჭაი-ხოსროს ცოლს ავტოთი სეირნობა.

იქნებ გეინტერესება, შკითხველო, რა დღეშია დღეს ოქტომბრის მეთო-თხმეტე წლის თავზე ჭაიხოსრო კი-ტრაძე და მთელი მისი გვარეულობა? უსათუოდ საინტერესოა ეს საკითხი, მაგრამ ამის შესახებ მომავალ 25 თე-ბერვალის „ნიანგში“ გაიგებთ.

ძველი.

„არაფერიც! მას არ ენაღვლებია... ზის საზღვარ-გარეთ, მიირთმევს... ხატები... — თამარის ქოზი... მონასტრების ძვირფასი თვალმარგალიტები. „ვუყუროთ მომავალს“, საერთაშორისო გართულების კვანძში უნდა ვვცდით საქართველოს „განთავისუფლების“ ზედიო!“

„ვუყუროთ მომავალს! აბა, რას იზამ, რომ არ უყურო. მეტი რა ჯანი გვაქს! მერე ეს არის ბრძოლის ხაზი? მომავალს ბაბუა-ჩემიც კი უყურებს, მიუხედავად იმისა, რომ ფეხზე 2 ჯოხით ძლივს დაბობღავს და ყურში არაფერი ეყურება. უყურებს, თვალი აქვს და უყურებს. ხედავს, ღვთის მადლით მხედველობა შერჩენილი აქვს. დიხს! ბაბუა-ჩემს ცალი ფეხი სამარეში აქვს, მაგრამ მაინც უყურებს მომავალს. აბა, რა ქნას?.. დაიგსოს თვალეზი?..“

„...სად არის ძველი პათოსი? სადღაა ძიოი გეგმა? სადღაა ლოზუნგი — „ქრთველო, ხელი ხმალს იკარ!“ სადღაა ქრთველი, რომელიც ეხლა „ხელს ხმალს იკრავს“... არა, „ხმალს კი იკრავს ხელს“ მარა მერე ვის ჰკრავს ამ ხმალს? მუშამ თუ ხელი ხმალს იკრა, ჩვენ ხომ სარობებში უნდა შევეძვრეთ! კოლმეურნეობებში ჩაბმულმა გლეხობამ. თუ „ხელი ხმალს იკრა“, ჩვენ ხომ ზიარებასაც ვერ მოვასწრებთ, ისე ავგავებთ ხმლის წვეგრზე?... დარჩა თავად-ანაბრეზის, ხუცების, კოლაკების, ჩარჩვაჭეების ნაყარ-ნუყარი. მაგათ, რამდენიც სურთ იმდენი „იკრან“... თვალის დახამხამებაში მათ ბურღლასაც არ დასტოვებენ მუშები და გლეხები.

„...ვუყუროთ მომავალს! ბაშუსტა! ვუყუროთ? მერე ვისი იმედით? ვილაცა რაღაცა საერთაშორისო მასშტაბით სადმე ხელს იკრავს, ვილაც ვილაცას საღაცა კრავს და ამის იქედით მე შიმშილით ამოვწყვეტო ჩენი ცოლ-შვილი? ჰერი ჰა! ეს არის მთელი პერსპექტივა?“

„...კარგი, ესთქვათ, რომ ეს მართლაც ასე მოხდა. ვილაცამ, საღაცაც საერთაშორისო მასშტაბით მართლაც მაგრად იაპკრა. ვილაცამ ვილაცას ცხვირი მოამტვრია, მერე? მერე ჩვენ რა? ჩვენ ვისი წითელი გოჭები ვართ?“

ჩვენ ხომ არ დავგასკუპებს ისევ ჩვენ-ჩვენ ადგილას. ფიქრი არ გაქვს! ვინ ვავდივართ, ვის ვახსოვართ! ან რა გვინდა, თუნდაც რომ დავგვასკუპონ! ხალხს რას უშვებო? ხომ მეორე დღესვე ისევ ვადმოგვაცირავებს. ერთი მითხარი, რომელი

კლასი, რომელი ფენაა ის, რომელსაც ჩვენ უნდა დავეყრდნოთ?

„კულაკობა? ჰმ, იგი უბედური ისეა წელში მობღუენული, რომ დავეყრდნოთ კი არა, ტყვილა გვერდებიდან რომ მივეყუდოთ, ბრეგვას მოადენს მიწაზე! ბურჟუაზია? ჰმ! რომელი? მეჩვერცხე იოსკა, კიდეც უფრო ღონიერად გრძობს თავს, ვინემ იგი. მაგას დაიყრდნოთ?! არ შეგვკამათ ქირმა! გათავებული საქმეა.

„ვუყუროთ მომავალს... კე! კე! ვუყუროთ აბა! მეტი რა გზა გვაქს... ეს თოთხმეტი წელიწადი, თითქოს არაფერი? ჰმ! კე! კე! მე უკვე წელ-

ში. მოვიხარე და მალე ბაბუაჩემის სტადიაში გადავალ... მერე, თუ ღმერთმა აა და მხედველობა არ დავკარგე, ჩამოვჯდები კერიასთან და ვუყურებ მომავალს.“


„...ძალიან კარგი საქმეა მედა ჩიშმა ღმერთმა... მიბრძოლი უკეთესი ღმერთმა შეარცხენოს... ის კი ზის თვისთვის არხენად, მიირთმევს მისი... მე რა გვაქო? მე არ მინდა საქმელა? თუ მომავალი საერთაშორისო გართულება გამაძღვებს?“

„კე! კე! ვუყუროთ, ბატონო, მომავალს, სანამ სული არ ამოგვშვება.“


საგვირ-გან-შინს.

ქურღები


ჩან. პოლკოვნიკი



იპკონია (ერთა ლივას):— ყო ჩალ შე ბებრუხანა შენა. შენ რომ ხელი არ შეგეწყო, ამ გამრიელ ვაშ- ლებს ვერ ჩავატკბარუნებდი.





ფრანც იოსებ—ყოფილი ავსტრო-უნგრეთის ყოფილი მეფე-ეგრედურობული ყველაზე უფრო ბედნიერი მეფე, რადგან ყველა მეფეზე მეტი იმეფა. მაგრამ უბედურება სამხრის კარს დაეწია და ტახტიდან გადმოაკინწისთავეს, ამჟამად ნიკოლოზთან არის საიქიოში.



მეფე საკოლონი—თეიეოლოს რევოლუციის შემდეგ, კადეტებისა და „სოციალისტების“ შიშვრობით ისევ ტახტზე წამოსკლდებოდა და ეხლაც მეფედ იქნებოდა, რომ ხელი არ შეეშალა ბოლშევიკებს და არ მოეზინათ თქტომბრის ა. რაიობა.




ნახ. ღონის.




გიორგი მეფე—კაროლი იგლისისა, პირველი კანდიდატი მომავალ ჩამოსაგდებ მეფისა. ამდებანს დევიარდებოდა, რომ ყავარჯენს არ ხზარობდეს; („ყავარჯნად კი მაკონალოი ჰყავს). „კაცი“—პარაზიტი, რომელიც მუქთა-ზორობაში მილიარდებს ღმართობო.

12



ვიქტორ ემანუილ—იტალიის კაროლი, მეორე კანდიდატი ჩამოსაგდებ მეფესა. მახე იგივე იტქმის, რაც ესთქვით ინგლისის მეფეზე. მუსოლინის ტიკინა. შესანიშნავია იმით, რომ ის იქნება უკანასკნელი მეფე იტალიისა.



ჰინდენბურგი—გერმანიის მონარქული რესპუბლიკის და რესპუბლიკანურ მონარქიის პრეზიდენტი, რომელსაც რესპუბლიკისე უყვარს, როგორც მეფეს ცხვარია.



ვილჰელმი—გეოაიის ყოფილი იმპერატორი. ულვაშებს ისევ ზემოთ იგრესს და იმედოვნებს ისევ გამეფებას „სოციალისტების“ დახმარებით.



ჟუანკარე-ოში—ხზარობს, იკონის. მეფეს სუნი ეცა მომავალ მსოფლიო ომის. სისხლში ბარაობას ნატვრობს და ამიტომ არ აპირებს საიქიოს გამზავარებას. (ნახატები ამოღებულია „მეზოფენიკი“-დან).



ნახუსარი გერვასის ღლიურიღან

20 თებერვალი, 1917 წ. პ. ში. თურა.

დღეს წირვის დროს გამოვასვენებ ბარძიმ - ფეშხუმი. ამის შემდეგ სამჯერ ჩავიმღერე „ბოჟე ცარია ხრანი“ (ფარვიდე უფალო მეფეს). ღმერთო მიცოცხლე ჩვენი ნიკოლაი რომანოვის თავი. მისი და შენი წყალობით ჯამაგირსაც კარგს ვიღებ გამორჩენაც მაქვს.. შენი და ნიკოლოზის გარდა კიდევ —

სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად ღვინო, საკურთხი, ქაღები, ღვინოს ვსვამ, ტაბლას ჩავცეცხლავ,

ქაღებო, გენაცვალებო.

25 თებერვალი, 1917 წ.

გუშინ ღამით მღვიმევის მონასტრის ახლოს ახალგაზრდა მონაზონთან შევცდი... შემინდე უფალო!..

30 თებერვალი, 1917 წ.

ნიკოლოზის ჩამოგდება დადასტურებულია. მშვიდობით ჩემო საყვარელო ანაფორავ. მშვიდობით ქედებს - ქორწილო! მშვიდობით ტაბლა - ხატაბურებო...

2 მარტი.

მახლას, რა ხუჭუჭა თმა მქონდა?... ქრისტე ვეგონე ქვირე კენიებს, რა ცა წინხედავდენ... რას იზამ კაცი... ანაფორა ვავიხადე, ეხლა ყველაფერს „უჩიტლობა“ სჯობია. სკოლაში რომ შევალ ეკლესიას მოვიგანებ და ცოტა გულს გავიქარებ.

10 ოქტომბერი, 1919 წელი.

ჭიათურის უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის „ღირექტორი“ ვარ. ჯამაგირი კარგი მაქვს... სახე-

ლი... პატივი. თქვენი ღაბაბის ჭირიმე შენშევიკებო!

13 მარტი, 1921 წელი.

ხაბაკი შეკრული მქონდა საზღვარ გარეთ გასაქცევად... აბა როგორ გავძლო ამ პროლეტარულ ქვეყანაში? სუნთქვა მიმძიმს... სული მეხუთება.

— ნუ გეშინია ორ კვირაში წაგვლენ ბოლშევიკებო, — მანუგემებენ თანამოაზრენი.

1 სექტემბერი. 1921 წ.

განათლების განყოფილების გამგეს დღეს დიდხანს ვესაუბრე. სულ კომუნისტების ქებაში ვიყავი... იქნებ გაბრიყვდეს და ისევ სკოლის გამგეობა მომცეს. ხატებს ვატყუებდი და დიდი ამბავია ეგ რომ მოვატყუო?!

17 ოქტომბერი,

შრომის სკოლის გამგე ვარ. ჩემი კარიერა უზრუნველყოფილია. კაბინეტის წინ წარწერა გავაკეთე: „დაუკითხავათ ნუ შემოხვალთ“. სკოლაში და მასწავლებელ ქალებში თავს

ისე ვგრძნობ, თითქოს მონასტერში ვიყო, მოლოზნათა შორის... ჩემი საქმე კარგად მიდის, მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ეწყეული ბოლშევიკები არსად მიდიან.

5 ოქტომბერი, 1930 წ.

ნიანგკორები გადამეკიდნენ, აღარ მასვენებენ. მაგათზე არც პურმარული ჭრის და არც ჩემი მოქანრაკებული ენის ტრიალი. რა ვუყო მაგ წყეულღებს? ვაი თუ გადამაგდონ... გლახა სიზმარი მაქვს.

5 აგვისტო, 1931 წ.

კიდევ ნიანგში გამწერეს. გუშინ განათლების ინსპექტორს ტუჩებში ვაკოცე, რომ სამსახურიდან არ დამითხოვოს...

7 ნოემბერი, 1931 წ.

წუხელი საამური სიზმარი ვნახე. ვნახე, ვითომ მენშევიკური მთავრობა მოდის. გამოვიღვიძე: — მენშევიკების ნაცვლად მეთუთხმეტე ოქტომბერი მოდის... მახლას!..



ღლიურის ხელში ჩამგდები სიბიტო ჭიათურელი.

ს ა ღ ღ ე ი ს ო

როთმაც ბევრი მაქვს, მუხაც ვერ მომღლის უკვე მოვიპირე ჩემი კალამი, მიიღეთ ყველამ თქვენი ძნელოლის ბოლშევიკური ტემპის სალაში. ბაბბის ფორტიდან მიხდა დავიწყო ზანტად ზმორება არ გვინდა არა, ყველამ ვიბრძოლოთ ბაბბის გეგმისთვის თან მივაწოდოთ საქაროთ „ტარა“. უკვე სრულდება ნოკრეფა ჩაის, კულაკებს პირზე ადგება გესლი, გადაჭარბებით დავეთესოთ გაისს, ზოლშევიკურად მოგვკრიოთოთ თესლიც. უნდა ტრანსპორტსაც მოვიკიდოთ ხელი,

თორემ სიტყვები მარტო არ კმარა, ავამუშავოთ ტემბები ცხელი მოვაწეროთოთ ეს საქმეც ჩქარა! უკეთ მოვაწყუოთ სახალხო კვება, მონარაგებას მივაპყრაოთ ყური, ხელისშემშლელებს დავცრაოთ გოგრაში ფურჩენში კარგად დავაცხოთ პური. დასილოსება სოფლად ბალახის, თავის დონეზე ვერ არის, ვერა ბევრი ორგანო გვყავს გასალახი რომ არ გაგვიხსნეს საბავშო კერა

ს. კნელოლი



ნახ. ალდადანოვასი




**ბანძის „ეპოს“-ს მეთაური—
ვაშაკაცია გელაური!**



ბანძის „ეპოს“ თავმჯდომარეს იულონსა რურუას, უყვარს ჩხუბი და ქეიფი ტიკითა სვამს ნუნუსს. წელს კიდია რევოლვერი თავს ახურავს ფაფახი, მიდი-მოლის მედიდურად, არ იღლება ტრახბახით. მიაქვს სახლში საქონელი, ნაპარავით სუქდება, ამბობს — კარგი სმა და ჭამა თავმჯდომარეს უხდება!


**დაინახავს რა — მიწეში,
გადაავადდეს წყალში თევზი!**
(კიათურა)



ქრისტეფორე გახლავარ კობახიდე გვარადა, სამსახურში გამწმინდეს არ ჩაევაღდე ჩალოდა.

დაეტრიალდი ვაჟკაცი საომრად ხელ-გამლილი, მომეხმარა ვაჩაძე ჩემი მამიდაშვილი. უფრო დავწინაურდი, ავდექე, არ წავიქეცი, და ყოფილი ნოქარი გამგეთ გადავიქეცი! ბურახისა ქარხანა ჩემს ხელთ არის სრულადა, ფლავიცა მაქვს — ფსტანიცა და გულიც მაქვს — გულადა!

**ფოსტის გაგმა — მისთვის და-
ვგამე,
არ ასრულდეს, თავის საქმეს!**
(დარჩელი, ზუგდიდის რაიონი)




ჩვენი ფოსტისა საქმენი ქება - დიდების ღირსია, მისგან წერილი დროულად ჯერ არავის არ მისვლია. ამბობენ — გამგე კარგია შარს ტყვილად ნურვინ მოსდებსო, ამითი რა დააშავა თუ წერილს ასილოსებსო. გეგმას ასრულებს დასახულს ტემბებს მიჰყვება ჩქარსაო, წერილის დროზე დაგზავნა არ ევალება მასაო.

**კლუბი — ზარამატი, მიძინარა,
გინდა იმოს და გინდა არა!**
(სამტრედია)


კლუბი გვაქვს სამტრედიაში, (ჩკინის გზის არის იგი უბანში) კლუბი — რა კლუბი გასაკვირველი, უმოქმედობით არის პირველი! იქ წარმოდგენა,

ბრვის უნახავს, (განგეობა კი ზის და ბუზს ყლაპავს). თანებუ ბევრი თუმც იხარჯება,



მაგრამ მიზანს ის აღარ ხმარდება. ხალხი კი ამბობს: როს გვეღირსება, მძინარე კლუბის ჩვენ ვალვიძება-

**თავმჯდომარე უვანია,
უხეზია კალინა!**
(ნარაზენი, სამეგრელო)



ნარაზენის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე უვანია, გლებებს ტუქსავს და ავინებს უხეზია ძალიან. კაბინეთში დაბრძანდება და თამბაქოს აბოლებს, გვერდით უზის ცირა-ქალი და გულს მისთან აყოლებს, „უდაკლადოთ“ თუ შეხველი ვაი მაშინ შენი ბრალი, ცოცხალი ვეღარ გამოხვალ რაგინდ გქონდეს მკლივის ძალი,

(იმერული სცენა)

მე და ჩემ ნატალიას ერთი კვირით ადრე გაუცხვენილი ვეჭონდა გვირგვინი, როცა გამოცხადდა იმპერიალისტური ომი. მსკანჩეს ხელი და გამიძახეს საოღარად პირდაპირ გერმანიის ფრონტზე.

იცოცხლე, იქნებ მე ვისახლე თავი, სადაც კი წივეწი ნემცებს, სულ ბლღვირი ავადინე ზურგზე. მარა ნატალიას ჯავრი დღე და ღამე მოსვენებას არ მძღვედა; თურმე იმ მამაცხონებულს იმისანა სიყოჩაღე გამეჩინა, რომ ოჯახს უჩემობა სულაც არ დატყობოდა. წელიწადი იქნებოდა გასული, რომ მივიღე წერილი, რომელშიაც მახარებდენ ვაჟის შეძენას. აწი თუ მოგვედები ანასუნი ჩემ საქმეს, მემკვიდრე მაინც დამრჩება-თქვა ვიფიქრე. მეორე წლის თავზე კიღო მივიღე წერილი, რომელშიაც ეწერა მეორე ვაჟი შეგვეძინაო, იმისანა, რომე ტარიელს გავსო. ამ ამბავმა სიხარულისაგან კინალამ გადამრია.

ხო, იმას მოგახსენებდი ქე რომ ნიკოლოზს დაბანდეს ხელი ტახტიდან, ხელად მოუსვი სახლისაკენ.

ჩამევედი აქ თუ არა გამიკეთა მობილიზაცია მენ შევიკების მთავრობამ და ჩამწერა გვარდიასი. არ დაგვიტოვებია საქართველოში არც ერთი სოფელი, რომ ომი არ გვექონებოდა აჯანყებულ გლეხებთან.

ბოლოს მენ შევიკებმაც ეიკრეს გულანაბადი და შემოვიდენ ბოლშევიკები. -შემოვიდენ და კიღევაც ჩამოაგდეს მშვილობა. რა ომი, რის ომი. დაჯექი შენთვის და აკეთე შენი საქმე. ამათი ომი თურმე სხენიერი ყოფილა. იტყვიან-ეს უნდა გავაკეთოთო-და კიღეც გააკეთებენ.

ყველაფერი კაი, მარა ეს ვერ მომწონს ამათი ხარ-კამეჩს რომ დოუკარგეს ფასი; შამეიტანეს რაცხა ტრანსტორი ქვიებია და რო მიაყენეს ყანას, რასაც ოცი უღელი ხარ-კამეჩი მოხნავდა დღეში, იგი ნახევარ დღესაც არ მოუწდება. (ამის შემდეგ ხარ და კამეჩს რალა დაფასება უნდა ჰქონდეს).

ამას თავი დანებე, დედიშენის შვილი ხარ და წერა-კითხვას ნუ ისწავლი. ეგენი რომ არ ყოფილიყვნენ, ჩემი ბიჭები უსტავლელები დამირჩემოდენ. ამგენმა სწავლით ხო ასწავლენ და ამ სიკეთესთან ერთად ჯამაგირიც ქე დოუნიშნეს, რაცხა სიბენტია ქე რო ქვია.

ამის შემდეგ მოდი ახლა და ძვირი თქვი ჩვენს მთავრობაზე. არ იქნები გასალახავი და ბრიყვი?!

კირილე საფიჩხივილი

1.

ნიანგო, ყური მომამაყარ გაცნობებ ფოთის ამბავსა, სანიანგოს და საკილოს საქვეყნოთ დასასტამბავსა. ქალაქი სანაგვეთ იქცა წუმპით სავსეა ქუჩები, დამხრვალი ძაღლი, კატები მასზეა შენაქუჩები. ყურს არავინ არ იბერტყავს ან ვინ რას ჰკადრებთ იმათო, სანიტარულს მუშაკებს ამბობენ —ტკბილად სძინავთო.

2.

წითელსა სასადილოებს ნეტავ რა ეშველებოა, ნიანგო, მაგათ სჭირია მაგარი შეხურებოა. არც ერთ მათგანში არ არის ღაცული რივი-წესია, სადილი იქ დანამზადი არ სჭამოთ უკეთესია. თორემ იცოდეთ ინანებთ ავიტებთ მრავალ ჭირსაო, სადილი ასე „შესარგი“ თუმცა კი ძვირი ღირსაო.

3.

ქალაქის ბალი ფოთის ციხეში არის ყველგანა, უფრო ლამაზი, მოვლილი ვერ ნახოთ —მოვლოთ ქვეყანა). ჭაობში ცურავს იმისი ხე თუ ყვავილი ყოველი, იქვე ბაყაყთა ორკესტრის ისმის მუსიკა ცხოველი. ყოველ საღამოს მღერიან ჩვეულნი აღმაფრენასა, ქალაქის საბჭო კი უსმენს და ამით ატკბობს სმენასა.

იჩო.

გოდორი

კოლას (ქიათურა) თქვენი ცნობებიდან ერთი ამბავი მოგვეწონა.

სანდრო კავსაძემ (მომღერალმა) და ელევთერ დვალაძემ ფიცი დასდეს, რომ მთელს დღეს ისე დააღამებენ, რომ ერ ყლაპ ნუნუას არ დაყნოსვენ.

„ღმერთმა“ (ან ჩვენებურად — მუქმა) ქნას, რომ ჩვენს ცხვარს მგელი დაეჭიროს...

კი-კის (ამბროლაური). წავიკითხეთ თქვენი საყვედურის წერილი: „აურაცხელ წერილებს ვგზავნი; რვა თუმნის მარტო მარკა მაქვს დახარჯული და თქვენ კი ერთსაც არ მიბეჭდავთ“.

არ გიბიჭდავთ და თუ სადმე საფოსტო მარკა ყოფილა, სულ თქვენ გაგიწყვიათ. — რომ დაგიბეჭდოთ ხომ მელანსაც გააწყობთ?

შამოქმედელს (ოზურგეთის რაიონი) მოგვყავს თქვენი ლექსის დასაწყისი:

შამოქმედი და ბენია ბოროტაძის „შამოქმედება“

კომკავშირელი გახლავარ მე—ტოროტაძე ბენია, ხულიგნობა და სკანდალი ბევრი მაქვს ჩანადენია. რევოლვრით დავდეგ გლეხობას გამეგ ვარ სამკითხველოსი ჩემ ბინის კარი მგონია. კარი თებროსი; პელოსი; ასეთი არის ბენიას მუშა და შემოქმედება, ხმას არავინ სცემს, თუმცა მას ბრალად ბევრი რამ ედება.


საინტერესოა ვიცოდეთ, როგორი არის ამ საკითხის გარშემო აღმასკომის და კომკავშირის რაიკომის „შემოქმედება“.



— მეთოთხმეტე წლის თავზე მე-ოცდათოთხმეტე კბილი მომემტვრა... მესუთმეტეზე კი—ერთი აღარ შემეჩრება!

15

საქართველო



ნახ. ქოქიაშვილის.

გაგზარული მსტფლიტ

მიწას დაეტყო ოქტომბრის ძალი—
 იწვის... ინგრევა... ძველი ქვეყანა...
 გასკდა... გაუჩნდა ყველგან ნაპრალი...
 იწუება... დადგა ახალი ხანა!

გულში გუზგუზებს შურის-ძიება,
 ის ელოდება ბიძგებს და ძრავებს.
 ბებერ ქვეყანას იპყრობს ციება,
 მას ოქტომბერი ააყირავებს.